სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

67969836290514

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## სამეწარმეო იურიდიული პირის წესდების დამოწმების ცვლილება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N140324652**

რეგისტრაციის თარიღი

03.04.2014 წ

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია
მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
ტელეფონი: 593 127322

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინოვატორი“ წესდება ახალი რედაქციით

საქართველო
თბილისი

## სანოტარო აქტი

საქართველო

***ორი ათას თოთხმეტი წლის სამ აპრილს,*** მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45 მე-3 სართულზე, მომმართა **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინოვატორი"-ს** დამფუძნებლებმა: ***ზურაბ გეგენავამ*** მან წარმოადგინა **შ.პ.ს. „ინოვატორი"-ს** წესდება ახალი რედაქციით და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ***ზურაბ გეგენავამ*** (დაბადებული 23.01.1973 წ. თბილისში, მცხოვრები თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 9, ბ. 47, პირადობის მოწმობა № ა 0713773 პირადი № 01024034622, გაც. 24.05.2005 წ. თბილისის საბურთალოს სმრ სამსახურის მიერ) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, შევამოწმე წარმოდგენილი წესდების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მე მას წაუკითხე წესდება ახალი რედაქციით და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა, რომ წესდება ახალი რედაქციით ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე წესდებას ახალი რედაქციით, რასაც ვადასტურებ.

წესდების იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში თან ერთვის დანართი 3 (სამი) დოკუმენტი.

1. **შპს „ინდენტი"-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 720577, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14020721, ამონაწერის მომზადების თარიღი: 04/03/2014 12:50:44, ს/კ 205102280, გაც. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
2. **შპს „ინდენტი"-ს** წესდება ახალი რედაქციით, დადასტურებული ქ. თბილისში ორი ათას რვა წლის ორ ოქტომბერს, ნოტარიუსს პაპუნა შენგელაიას მიერ, რეგისტრაციის №1-3483, ფოტოასლი, დამოწმებული ქ. თბილისში ნოტარიუს ქეთევან გრიგოლიას მიერ ორი ათას თოთხმეტი წლის სამ აპრილს.
3. **შპს „ინდენტი"-ს** გადაწყვეტილება დამოწმებული ქ. თბილისში ნოტარიუს ქეთევან გრიგოლიას მიერ ორი ათას თოთხმეტი წლის სამ აპრილს.

გადახდილია სანოტარო საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების № 507, მე-19 მუხლის - 25-00 ლარი + დღგ 4-50 ლარი + ელექტრონული სანოტარო რეესტრის მოქმედების რეგისტრაციისათვის 39 მუხლის 1 პუნქტის - 2 ლარი, სულ გადახდილია 31-50 ლარი

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ინოვატორი"

## წესდება ახალი რედაქციით

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **"ინოვატორი"** (ყოფილი **„ინდენტი"**), რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მიერ 2005 წლის ცხრა ნოემბერს, სახელმ. რეგისტრაციის № 1173/006-შპს, ს/კ 205102280 (შემდგომში "საზოგადოებად" წოდებული) შექმნილია საქართველოში 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის "მეწარმეთა შესახებ" შესაბამისად პარტნიორთა ქონების წილობრივი ნაწილების გაერთიანების საფუძველზე. საზოგადოებას კანონმდებლობით დაშვებული სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა.

1.2 საზოგადოება პასუხს აგებს ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით, ხოლო თითოეული პარტნიორი საზოგადოების კაპიტალში შეტანილი წილის ოდენობით.

1.3 საზოგადოება პასუხს არ აგებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრების ვალდებულებებზე.

1.4 საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

## მუხლი 2. საზოგადოების სრული და შემოკლებული სახელწოდება

**ქართულად:**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **"ინოვატორი"; შპს "ინოვატორი".**

**ლათინური ტრანსკრიფციით:**

**"INNOVATOR" Limited Liability Company; "INNOVATOR" llc;**

## მუხლი 3. საზოგადოების მისამართები:

3.1. საზოგადოების მისამართები:

ა) იურიდიული მისამართი:

***საქართველო, თბილისი, მე-2 საავადმყოფო-პოლიკლინიკის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველას VII, ქვარტლის მხარეს მარიჯანის ქუჩაზე;***

ბ) ფაქტიური მისამართი:

***საქართველო, თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2;***

გ) ელექტრონული მისამართი:

E.mail: office@innovator.ge

3.2 საზოგადოება არის იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.

3.3 საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებსა და მოვალეობებს იძენს წესდების დადგენილი წესით რეგისტრაციის დღიდან.

3.4 საზოგადოებას საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს და მოიხმარს დანიშნულებისამებრ თავისი საქმიანობის მიზნების მისაღწევად. მას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.

3.5 საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის უცხოური ვალუტით, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში. მას აქვს ბეჭედი თავისი დასახელებით, შტამპები, ბლანკები და სხვა ატრიბუტები.

## მუხლი 4. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზანი

4.1 საზოგადოების შექმნის ძირითადი მიზანია დამფუძნებელთა და თავის მუშაკთა სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, საქართველოს მოსახლეობისა და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სხვადასხვა სახის საქონელზე და მომსახურებაზე და ამ საქმიანობით მოგების მიღება როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთ, დამფუძნებელთა ინტერესების შესაბამისად.

4.2 საზოგადოება დადგენილი წესით ახორციელებს საქმიანობის შემდეგ სახეებს:

– პროფესიონალური ტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია, სერვისი, სისტემური ინტეგრაცია; კომერციული საქმიანობა; საშუამავლო საქმიანობა;

– ყველა სხვა სახის საქმიანობა, რომელიც კანონით არ იკრძალება.

4.3 საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს სახელშეკრულებო ფასებში, მათ შორის ნაღდი ანგარიშსწორებით კერძო პირებთან.

4.4 ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნებში, რომელიც საჭიროა ან აუცილებელია საზოგადოების მიზნების მისაღწევად და არ არის აკრძალული ამ ქვეყნების კანონმდებლობით.

4.5 საქმიანობის იმ სახეების განსახორციელებლად, რომლებიც ექვემდებარებიან ლიცენზირებას, საზოგადოება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ლიცენზია.

## მუხლი 5. საზოგადოების კაპიტალი

საზოგადოების პარტნიორები არიან:

***ზურაბ ბეშენაშა,*** მცხოვრები თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 9, ბ. 47, პირადი № 01024034622.

5.1 საზოგადოებაში გაწევრიანების პირობაა საზოგადოების კაპიტალში პარტნიორის წილის შეტანა.

5.2 საზოგადოების კაპიტალი შეადგენს ორას ლარს (200 ლარი) ფულადი შენატანით.

***ზურაბ ბეშენაშა*** 200 ლარი, საზოგადოების კაპიტალის 100%.

5.3 პარტნიორები საზოგადოების კაპიტალში შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. შესატანის შეტანა არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად იქნა გამოყენებული. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება.

5.4 ყველა მონაწილე ვალდებულია საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისათვის დაფაროს საზოგადოების კაპიტალში მისი კუთვნილი წილის ნახევარი, დანარჩენი კი არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

5.5 შესატანი შეიძლება დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით. შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით, რომელიც უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა. შეტანაზე ვალდებული პარტნიორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არაფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რაც ამ ობიექტს რეგისტრაციის დროისათვის ჰქონდა; თუ ობიექტის ღირებულება დათქმულ თანხაზე ნაკლებია, მაშინ იგი უნდა შეივსოს ფულით; თუ

არაფულადი შესატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, ზედმეტი თანხის უკან მოთხოვნა დაუშვებელია.
5.6 შესატანის უკან დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საზოგადოების კაპიტალის შემცირების გზით. ამისათვის საჭიროა ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდება ახალი რედაქციით. საზოგადოების კაპიტალის შემცირება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში.
5.7 დაიშვება დამატებითი შესატანების გადახდაც დამატებითი შესატანები წილის პროპორციული უნდა იყოს.

## მუხლი 6. დამფუძნებელი და მისი უფლება-მოვალეობა.

6.1 საზოგადოების მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ან უცხოელი სრულწლოვანი ქმედუნარიანი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე იურიდიული პირი.
6.2 დამფუძნებელს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას.
6.3. დამფუძნებელს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა.
6.4 თუ დამფუძნებელი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.
6.5 დამფუძნებლის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. სანოტარო დამოწმებაა ასევე საჭირო შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ.
6.6 წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ნებართვით. ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება და თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შესატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს. მიღებული წილები ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.
6.7 დაუშვებელია საკუთარი წილის შეძენა.

## მუხლი 7. მართვის ორგანოები

7.1 საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას.
7.2 დამფუძნებელი იღებს გადაწყვეტილება ყველა საკითხზე, კერძოდ:
ა) საზოგადოების წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მასზედ უნდა ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს;
ბ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
გ) წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია;
დ) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის საწყება და მათი შეწყვეტა;
ე) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
ვ) უძრავი ქონების შეძენა და გასხვისება;
ზ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს;
თ) სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას;
ი) იმ სესხებისა და კრედიტის უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;
კ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;
ლ) პროკურის გაცემა და გაუქმება;
მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე დირექტორის ანდა პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორის წინააღმდეგ წარმართავს;
ნ) წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;
ო) შესატანების გადახდის მოთხოვნა;
პ) დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;
ჟ) გენერალური დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მასთან შრომის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მისი ანგარიშის დამტკიცება.

## მუხლი 8. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. გენერალური დირექტორი.

8.1 საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს.
8.2 ხელმძღვანელობით საქმიანობიდან მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.
8.3 გენერალური დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში.
8.4 გენერალური დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით და კეთილსინდისიერებით. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზარალისათვის პარტნიორების წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს. საზოგადოების ხელმძღვანელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.
8.6 გენერალურ დირექტორს არ შეიძლება მიეცეს კრედიტი საზოგადოების იმ ქონებიდან რომელიც აუცილებელია საზოგადოების კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. კრედიტი, რომელიც მაინც გაიცა, ყოველგვარი სხვაგვარი შეთანხმების მიუხედავად, მაშინვე უნდა დაბრუნდეს.
8.7 გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებმდეს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად.
8.8 გენერალური დირექტორი ვალდებულია ათი წლის განმავლობაში შეინახოს ყველა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები საზოგადოების საქმიანობაზე.
8.9 სამეურნეო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში გენერალურმა დირექტორმა უნდა შეადგინოს გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ (წლიური ანგარიში), ასევე საქმიანობის ანგარიში და უნდა წარმოადგინოს დახვეწილი ანგარიში.
8.10 გენერალური დირექტორი უფლებამოსილია:
– დაამტკიცოს საზოგადოების ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი; მიიღოს და გაათავისუფლოს სამუშაოდან საზოგადოების მუშაკები, წაახალისოს და დასაჯოს შინაგანაწესის შესაბამისად; დადოს გარიგებები, გასცეს მინდობილობები; გახსნას ანგარიშები; გამოსცეს საორგანიზაციო-განმკარგულებელი ხასიათის დოკუმენტები; გადაწყვიტოს მოქმედი კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

## მუხლი 9. წლიური შედეგები

9.1 დამფუძნებელს აქვს წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით.
9.2 შედეგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დამფუძნებელს შეუძლია თანხა მოგებიდან ანარიცხებში ჩარიცხოს ან წარმოადგინოს როგორც მოგება.
9.3 წლიური წმინდა მოგების განაწილება ხდება წილის პროპორციულად;
9.4 დაუშვებელია საზოგადოების კაპიტალის, როგორც მოგების განაწილება.

## მუხლი 10. საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

10.1 საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპებზე.
10.2 საზოგადოების სამეურნეო წელი იწყება 1 იანვრის და მთავრდება 31 დეკემბრის პირველი წლის გარდა, რომელიც იწყება სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან და მთავრდება 31 დეკემბერს.
10.3 საზოგადოებას შეუძლია დააარსოს ფილიალები წარმომადგენლობები, ქვეგანაყოფები და ა.შ. როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც მოქმედებენ დირექციის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებების (წესდებების) თანახმად.
10.4 საზოგადოება ხსნის ანგარიშს ნებისმიერ საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებაში და მათი საშუალებით აწარმოებს ყველა საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტით უნაღდო ანგარიშსწორებით, ნაღდ ანგარიშზე ან სხვა გადასახდელი საშუალებით გადასახადი თანხის სიდიდის განუსაზღვრელად. ანგარიშსწორების ფორმები განისაზღვრება საზოგადოებისა და მისი პარტნიორების ურთიერთშეთანხმებით.

## მუხლი 11. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა.

11.1 საზოგადოება წყვეტს საქმიანობას: მისი მონაწილეთა გადაწყვეტილებით; კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.
11.2 საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით.
11.3 საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.
11.4 დაუშვებელია საზოგადოების დაშლა დამფუძნებლის გარეშე.

11.5 თუ საზოგადოება გადახდისუუნარო გახდება, გენერალურმა დირექტორმა, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არა უგვიანეს სამი კვირისა გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან, უნდა განაცხადონ საბანკროტო საქმის აღძვრის შესახებ; ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ქონება უკვე ვეღარ ფარავს ვალებს. გენერალური დირექტორი ვალდებულია საზოგადოებას აუნაზღაუროს ის ხარჯები, რომელიც გაღებულია საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის ან დავალიანების დადგენის შემდეგ.

11.6 ლიკვიდაციას აწარმოებს გენერალური დირექტორი. რომელიმე მონაწილის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობს, ლიკვიდაციის განმხორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი; ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ლიკვიდატორებად დანიშნოს ის პირებიც, რომლებიც არ არიან დირექტორები. ლიკვიდატორებმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი. საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, საჯარო განცხადებით, და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისათვის.

ლიკვიდატორები მოვალენი არიან დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან დავალიანება არ გამომდინარეობს. დავალიანების დადგენისთანავე ისინი მოვალენი არიან ამის თაობაზე აცნობონ სასამართლოს, რომელმაც უნდა აღძრას საბანკროტო საქმე. ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში. მათ შეუძლიათ წარმართონ ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულონ დავები, ხოლო, თუ საჭიროა ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც. მათ შეუძლიათ აგრეთვე თავისუფლად გაყიდონ აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მათ ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის.

11.7 ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ნაწილდება პარტნიორებს შორის, ლიკვიდატორებმა უნდა შეწყვიტონ განაწილება დავის კანონიერად გადაწყვეტამდე.

11.8 დამფუძნებელს შეუძლია ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი ურთიერთობებისა და საზოგადოების საქმიანობის საგნის შენარჩუნებით. გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით. გარდაქმნის ბალანსში აქტივები შეიტანება ძველი საბალანსო ან საბაზრო ღირებულებებით.

საბაზრო ღირებულებას ამოწმებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. გარდაქმნისათვის აუცილებელია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა.

11.9 საზოგადოებას შეუძლია გაერთიანება სხვა საზოგადოებასთან (შერწყმა). შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს თუ ორივე საზოგადოება ერთიანდება ერთ ახალ საზოგადოება. თუ შერწყმის დროს მოხდება გადახვევები საბალანსო ღირებულებებიდან, შერწყმის ბალანსში ღირებულება უნდა დაზუსტდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებამ უნდა განსაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ საზოგადოების კაპიტალში მათი წილის პრინციპებით. საზოგადოება, რომელმაც ძველი საზოგადოება მიიერთა, ან ახლად შექმნილი საზოგადოებას, ან ახლად შექმნილი საზოგადობა წარმოადგენენ ადრინდელი საზოგადოების (საზოგადოებების) უფლებამონაცვლეს.

11.10 საწარმო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე საწარმოო ერთეულია შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (გაყოფა ნატურით). შემადგენლობაში მყოფი საწარმოო წარმოადგენს საწარმოო-ორგანიზაციულად განცალკევებულ ერთეულს, რომელსაც აქვს საკუთარი საქმიანობის სფერო. ნატურით გაყოფა დაიშვება საბალანსო ღირებულებით. თუ დადგინდა უფრო მაღალი ღირებულება, იგი უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ნატურით გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები ნატურით გაყოფილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე.

11.11 შერწყმა და ნატურით გაყოფა დაიშვება მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით.

## მუხლი 12. ფილიალები.

12.1 საზოგადოებას შეუძლია დაარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საგადასახადო ინსპექციას.

12.2 კანონით დადგენილი ხელნაწერები შესაბამისად უნდა გაკეთდეს ფილიალის მარეგისტრირებელ

საგადასახადო ინსპექციაში.

## მუხლი 13. სხვა დებულებები.

13.1 წინამდებარე წესდება ახალი რედაქციით ძალაში შედის შესაბამის სახელმწიფო ორგანოში მისი რეგისტრირების დღიდან.
13.2 თუ ამ წესდების რომელიმე დებულებამ ძალა დაკარგა, ეს არ ვრცელდება სხვა დებულებებზე. ამ შემთხვევაში დამფუძნებელს შეუძლია სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ძალადაკარგული დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც საშუალებას მისცემს მიაღწიოს მსგავს ეკონომიკურ შედეგს.
13.3 ამ წესდების მუხლებს წამძღვარებული აქვთ სათაურები წესდების ტექსტის სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღებიან ამ წესდების რაიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმარტავად.
13.4 წესდება ახალი რედაქციით შედგენილია ხუთ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად.

დამფუძნებელი — ზურაბ ბეგენავა

ნოტარიუსი — ქეთევან გრიგოლია

9

ПЕРЕВОД С ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА НА РУССКИЙ ЯЗЫК ВЫПИСКИ ИЗ УСТАВА

**Индивидуальный номер нотариального действия**
**67969836290514**

**Грузия**

***Герб***

**Наименование нотариального действия**
**Заверение изменений в уставе предпринимательского юридического лица**

**Номер регистрации нотариального действия**

**№140324652**

**Дата регистрации 03.04.2014 г.**

Нотариус Григолия Кетеван
Адрес г. Тбилиси, проспект Важа-Пшавела 45, 3-ий этаж
Телефон 593 127322

---

Заинтересованные лица могут проверить информацию о действительности данного нотариального акта, его замене и/или аннулировании на веб-странице нотариальной Палаты Грузии www.notary.ge, а также позвонить по телефону: +995 (32) 2 66 19 18

Джахая Шию

**ОБЩЕСТВА С ОГРАНИЧЕННОЙ ОТВЕТСТВЕННОСТЬЮ**

# «ИННОВАТОР»

**УСТАВ В НОВОЙ РЕДАКЦИИ**

Грузия
Тбилиси

## СТАТЬЯ 4. ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ И ЦЕЛИ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

4.1. Основной целью учреждения Общества является улучшение социально-экономических условий учредителей и их работников, удовлетворение потребностей населения Грузии и юридических лиц в товарах и услугах разного вида и получение прибыли с данной деятельности, как в Грузии, так и за границей, в соответствии с интересами учредителей.

4.2. Общество в установленном порядке осуществляет следующие виды деятельности:

- импорт, реализация, сервис и системная интеграция профессиональной техники; коммерческая деятельность; посредническая деятельность;
- любая другая деятельность, не запрещенная законом.

4.3. Общество свою деятельность осуществляет по договорным ценам, в том числе наличным расчетом с частными лицами.

4.4. Осуществление любой другой деятельности, как в Грузии, так и в других странах, которые необходимы для достижения целей Общества и не запрещены законодательством данной страны.

4.5. Для осуществления тех видов деятельности, которые подлежат лицензированию, Общество обязано получить лицензию в установленном законодательством порядке.

Перевод действителен и соответствует оригиналу.

Переводчик: Джахая Нино

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N170040006 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 16.01.2017 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ქეთევან გრიგოლია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 593 127322 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 36362510832317 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ჩვიდმეტი წლის 16 იანვარი
მე, ნოტარიუსი ქ. თბილისში **ქეთევან გრიგოლია**, ვამოწმებ რუსული ენის მთარგმნელის, **ნინო ჯახაიას** (პირადი ნომერი №62006000279, დიპლომის № №000902) მხოლოდ ხელმოწერის სინამდვილეს და არ ვამოწმებ საბუთის შინაარსს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.
ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31.3 - ერთი ეგზემპლარი 3 ხელმოწერა 6 ლარი + დღგ 1,08 თეთრი თანახმად საგადასახადო კოდექსის მუხლი 169-ე + 39.1 სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ 9,08 ცხრა ლარი და რვა თეთრი.

16 января две тысячи семнадцатого года
Я, нотариус в г. Тбилиси, **Григолия Кетеван** заверяю только подпись переводчика русского языка **Джахая Нино** (личный номер №62006000279, диплом №000902), а не содержание документа. Переводчик предупреждена о той ответственности, которую она несет в случае неправильного перевода и дает гарантию точного перевода.
Нотариальная плата: на основании утвержденного постановления №507 от 29 декабря 2011 года Правительства Грузии «О нотариальной плате за выполнение нотариальных действий и размере установленной стоимости для нотариальной палаты Грузии, правилах их оплаты и утверждении сроков за услуги» статья 31.3 – один экземпляр 3 подписи 6 (шесть) лари + НДС 1,08 тетри, согласно статье 169 налогового кодекса Грузии + стоимость электронной регистрации за выполнение нотариального действия - статья 39.1 два лари, всего 9,08 девять лари и восемь тетри.

**ნოტარიუსი** ქ. გრიგოლია

**Нотариус** **К. Григолия**